ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება - N 22.29.33
14 / იანვარი / 2022 წ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს" საქმიანობისთვის ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ე.თ" და „ე.კ" ქვეპუნქტების და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებით მე-14 მუხლის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს" უფლებამოსილებათა განხორციელებისას, საბჭოს სხდომების მსვლელობისას, მათი ხანგრძლივობის გათვალისწინებით, გაწეულ იქნეს კვებითი მომსახურება.

2.დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს" წევრთა სხდომების მსვლელობისას კვებითი მომსახურებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროგრამით „მერიის ადმინისტრაცია" (კოდი: 10 02) „წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის" გათვალისწინებული ასიგნებებიდან, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ინვოისის საფუძველზე, არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით, თითოეული სხდომისათვის.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202